


გვეყო ნაკლი, შეცდომა. ალბათ წელს ის გვეყოფა,
რაც წარსულ წელს დაბრკოლება გზაზე გადაგვეღობა,

# ღია ბარათი

## ბაღდათის ეკოს თავმჯდომარე მინდიაშვილს

გვარი, რომ ჩინებული გაქვს, რაღა ლაპარაკია საჭირო. მინდიაშვილი!—რასაც გინდა იმას გააკეთებ. კაცია და გუნება! სხვა რომ არა იყოს რა, ეპოს გამგეობის თავმჯდომარე ხარ, შენს ხელთაა ამხელა რაიონის საქონლითა და დოვლათით მომარაგება.

ამ დიდი საქმის შესრულება კი არც ისე ადვილია. ერთბაშად ქვეყანა ვის აუშენებია, შენ ააშენო. ამიტომ შენ დიდად გონივრულად შეუდექ შენი მოვალეობის შესრულებას:

ავილოთ კოოპერატივის ბუღალტერი შალვა გოგსაძე. ეს კაცი ხომ ხმა ჩამორთმეული იყო, შენ კი მას როგორც „გაჭირვებულს" ძმურად ხელი გაუწოდე,—ეპოს ბუღალტრად მიიღე; შემდეგ ესაც არ აკმარე და მისგან ეპოსთვის სახლი შეიძინე 2000 მანეთად, ესაც არაფერი,—ამის შემდეგ საარჩევნო ხმა აღუდგინე და ბოლოს, „მოყვასისათვის" თავი აქამდე გასწირე, რომ პარტიაში შესასვლელად რეკომენდაციაც კი გაუკეთე...

ამნაირად კაცი „უსახლკარო", ფეხზე დააყენე, გაამაგრე და ყელამდი აავსე ცხოვრებით...

რომელი ერთი გოგსაძე ჩამოგთვალოთ! ავილოთ ვაჭრები: ა. ენდელაძე, ფოჩხიძე, ქარშაკი, აბრამიშვილი. ეხლა, ამ დროში ვაჭარზე გაჭირვებული ვინ უნდა იყოს! შენ კი მუდამ გაჭირვებულ ხალხზე ზრუნავ, ვითარცა კაცი ხათრო და მადლმოსილი.

შენ ეს ხალხი კოოპერატივში მოაწყე, გაჭირვების გზიდან დააბრუნე, მტრების დასაცინი არ გახადე! რაო? რის გამწმენდი კომისია! კომისიას ვინ რას კითხავს! კაცია და გუნება.—ილაპარაკონ რამდენიც უნდათ, რამდენი დადგენილებაც უნდა გამოიტანონ მათი მოხსნის შესახებ.. თავმჯდომარე ხარ,—ზნაჩიტ—ყველგან შენი სიტყვა უნდა გაატარო.

იმის არ იყოს, რომ გლეხობა პურს გთხოვს. რის პური, რის ფლავი! მათ პური მისცე—შენ და შენმა ამქარმა კი ჭადი ხჭამოთ?!.

ამნაირად... შენ გაჭირვებულ ხალხზე ზრუნავ... ცხადია, იქნებ ხვალ შენ თვითონ გაგიჭირდეს! მით უმეტეს ამ ბოლო დროს, შენი თქმის არ იყოს: „ყველა დურაქი, მურტალი და ბინძური თვითკრიტიკას გაიძახის"...

ჯერ-კი—განაგრძე შენი მოღვაწეობა. ვინც რა უნდა თქვას. ენას ხომ ძვალი არ ატანია, რომ ყელში გაეჩიროთ.

შენი პილპილი

# ნატვრა

ნოქრებს საქონელი ხშირად სახლში მიაქვთ და დანაკლისს კი შეშრობას აბრალებენ.

გრეხკორის წერილიდან.




— ახ, ნეტავ სულ ზაფხული იყოს, რამდენ შეშრობას (უსუშკა) ვაჩვენებდით?

# ყვარელის ფოსტაში

— ერთი, გეთაყვა, იქნება წერილია რამე ჩემზე, მომეცი, თორემ ეს სამი თვეა დამტარებელი არ მოსულა და მე ჩამოვედი; მერე და გაზეთი „კოლექტივიზაცია" მაქვს გამოწერილი, და რაცა ხანია თვალით აღარ მინახავს, იქნება მომცე—ეუბნება გლეხი.

— აბა სად ვეძებო შენი წერილი და გაზეთები?! ვერა ხედავ; რამდენიმე თვისა ე მანდ ყრია ზვინივით აკოკოლავებული: სად ვნახო ამოდენა გროვაში, სადა მცალია!...—მიუგო გამგემ.

ამ საქმის მოგვარება კი ვისაც ეხება—სდუმს...

ნაცნობი.

# პასუხი წერილზე

## ოზჩა, ვასასი ჩხეიძეს

მშვენიერო ბულბულო, მივიღე შენი წერილი. დიდად გახარებული ვარ, რომ თილი სამუშაო გქონია: დღეში სულ სამი-ოთხი საათი. რა ვუყოთ, რომ გლეხები მთელი საათობით ელიან, როდის შეხსნი აფთიაქს ბებია შენის ნამზითვ ბოქლომს... ჩვენთვის თავს ვინ იკლავს, რომ ჩვენ თავბრუდასხმულები ვიხვიოთ შრომით!

ტყვილად ხწუხდები იმ გარემოებით, რომ ამ ზამთარს სახმედვაჭრობის ანგარიშზე გიყიდია შეშა შენი ოჯახის საჭიროებისათვის... შეშა—შეშაა, დაიწვა და ახლა ხომ უკან ველარ დაგაბრუნებინებენ!

მეც არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, რომ თითო რეცეპტზე წამალს ორი-სამი შაური დაუმატო, ჯერ ერთი ამას უსწავლელი გლეხები რას გაიგებენ, მეორეც ეს, გინდ გაიგონ—ვერ გაბედავენ ხმის ამოღებას.

რატომ?—რატომ და იმიტომ, რომ ეშინიანთ: მეორეხელ წამალზე რომ მივიდეთ—საწამლავი არ მოგვცესო... მაინც რა უჭირს—ასეც რომ მოიქცე! მთელი ხალხის სიცოცხლე შენს ხელთ არ არის?! თუ ბიჭებია, გაბედონ ხმის ამოღება!

რაც შეეხება აფთიაქის დარაჯს, მან რა უნდა დაგაკლოს? მით უმეტეს ოჯახშიც თუ იმსახურებ—ერთ ღამეს კარები დაუკეტე და ურტყი მაგრა, რაც ძალი გქონდეს. მიტომ ჭიჭყინობს, რომ შენ მხოლოდ ერთჯერ გაგილახავს, ერთჯერ არ კმარა. ორჯერ, სამჯერ რომ მოსცხებ—აბა მერე ნახე როგორ მურაბასავით დაშაქრდება. გიჩივლებს? გიჩივლოს მერე! საბჭოს წევრი ლევან გაბედიძე ხომ შენს მხარესაა. ხოლო თუ ბაღდათში გიჩივლა აღმასკომის მდივანი ლეონიძე ხომ იქ არის? აბა რისა გეშინია, ბოლოს თუ გაჭირდა—ქუთაისის ოლქის სახმედვაჭრობის რწმუნებული იქ არ არის?

მო და ახე ჩემო ბულბულო.

მომწერე კიდევ შენი ამბავი. იჭიკჭიკე ტკბილად, რომ თუ რამე დარდი გაწუხებს—მთლად აგეყაროს გულიდან.

შენი ლიცინიუშ ვიცინი.

# ანგარიშის საქმეა

ქარელის მახლობლად რკინისგზელები საქონელს ერეკებიან ლიანდაგზე, რომ მოკლული საქონლის ხორცი შეიხვედრონ.

კორესპონდენციიდან.



— ხომ არ გაგიჟდი კაცო, საქონელს სად მიერეკები, ხედავ ორთქლმავალი მოდის!

— შენ გიჟი ხომ არა ხარ. ერთი კვირაა ხორცი არ მიჭამია!

## ალსარება

მე, სოფელ მერილვის მღვდელი იაკინთე მამალაძე საიდუმლო ბარათს გიგზავნი ჩემო სულიერო შვილო „შოლტი"-ს რედაქტორო და ამ საიდუმლოება ისევე უნდა შეინახო, როგორც მოწიწებითაც გულში ინახავ ღვთის შიშსა და სიყვარულსა.

ამ დღეებში ჩემთან გამოცხადდა ამავე სოფლის საბჭოს თავმჯდომარე კოსტა ცხადაძე და გამანდო თავისი გულის საიდუმლოება, რომელსაც ეწოდება ალსარება.

მუხლმოდრეკილმა დიდხანს ილოცა მაცხოვრის ხატის წინ და ბოლოს დაიწყო:

— წავიწყმიდე სული, მამაო. მიშველე, მიხსენი ეშმაკების ხელიდან!—შემომტირა თვალცრემლიანმა.

— რა იყო, შვილო, რა ჩაიდინე ისეთი ცოდვა? აღიარე და ღმერთი ყველაფერს მოგიტევებს.

— რაღა არ ჩავიდინე, ვაი მოსათვლელს! სულითა და ხორცით უნდა ვიტანჯო სააქაოსაც და საიქიოსაც. ექვსი თვეა არც კია სოფლის საბჭოს თავმჯდომარეთ ვარ და ექვსჯერ ქრთამი ავიღე, გამწმენდ კომისიას დაუმალე, რომ 1905 წელში მამასახლისათ ვიყავი და მაშინდელი „ბუნტოვჩიკებს" ციმბირში ვუკარი თავი. ჩემი ერთი დიდი ცოდვა ის არის, რომ ჩვენებურ მასწავლებელს ვლასას წიგნების ფულების შეჭმა მოუგონე და სამსახურიდან დავითხოვე. ის ფული კი ნამდვილად მე შევჭამე.

მის ალსარებას მე, როგორც წითელი ეკლესიის მომხრე, შენ „შოლტი"-ს რედაქტორს განდობ და იმედია, მიუტევებ.

## ყველას

სოფ. კრეიში ვმუშაობ კოოპერატივის ნოქრად.

კოოპერატივთან მოვაწყე ლანძღვა - გინების, არშიყობის და ღვინის სმის კურსები. მეხერხება იარაღის ტრიალი, ჩხუბი და ყვირილიც. ხშირად მიცემია გლეხებისათვის. კურსებზე მეცადინეობა უფასოა. მსურველი შეითვისებს ყველა ამ ხელობას თუნდაც 2 დღეში, თუ ის ხშირად ივლის კოოპერატივში.

ნოქარი სან. მაზმიშვილი

## შეკითხვა

18 წელიწადს პატიოსნად და ერთგულად ვმსახურობდი სტრაჟნიკის თანამდებობაზე. ამჟამად ქუთაისის ოლქის ს. გომის კოლექტივის გამგეობაში მოვეწყვე. დაჯილდოვებული ვარ სამი ჯვრითა და ოთხი მენდლით. მთავრობისაგან პენსია მერგება თუ არა? *).

თეოფილე ნიშნიანიძე.

*) შენ პენსია გერგება, შენს დამწინაურებელს გამოიცანი რა ერგება?

## სიზმარი

— მიდი! დაჰკა!.. მაგ მუნიანებს! მაგათი ბრალია, მე რომ ორცი ქცევა მიწა გაყიდე ხელისუფლებამ გამიგო, ჩამომართვა, გადასცა ფერსათის არტელს და პასუხისგებაში მიმცა!—აქეზებდა ონისიმე მახილაძე ძმას—ლადიკოს, და დაერიენ არტელის წევრებს: ლეონტის უკვე აალებინეს ხელი სამუშაოზე, მუქარით; მერე შეუტიეს კოლექტივის 9 წევრს მუშაობის დროს, ააფორიაქეს; გამგეობის წევრს თავი რომ არ დაეღუნა—თოხი შუაზე გაუპობდა...

ძმები მახილაძეები თხებივით მიერეკებიან არტელის წევრებს, განსაკუთრებით ონისიმეს სიხარულს საზღვარი უთავდება, შურის ძიებით იჭნევს ხელებს, და ზღართანი კი მოსძვრა ტახტიდან იატაკზე...

თვალები რომ დააჭყიტა—მის წინ მილიციელი იდგა.

— შენი ძმა უკვე დაჭერილია, ჯერი შენზეა! აბა, გამიძეხ წინ!.. უთხრა მილიციელმა.

რა ცუდად აუხდა სიზმარი?

ტ.

## დაიკარგა

უგზ-უკვლოდ დაიკარგა ქსოვრისის გლეხკომის თავმჯდომარე ნარიკაშვილი, ლარიბები და ქვრივ-ობლები უკვე მეორე თვეა დაეძებენ, მაგრამ ვერსად ამოუჩენიათ. თავმჯდომარეს ვინც აღმოაჩენს, მისთვის დაგვილოცნია საჩუქრად.

## ფულის მოგება

ვისაც უნდა მობრძანდეს სოფელ ვანათში (სამხრეთ-ოსეთი), სადაც ქოხ-სამკითხველოსთან მოვაწყე იაფი საუზმეულის გაყიდვა ოსური არყითა და ლუდით.

სტუმრების გასართობად ყოველდღე სწარმოებს გახურებული კარტის თამაში, ქალებისათვის კი ლოტო. სტუმრებმა ყოველ შემთხვევისათვის თან იქონიონ ჭრილობის შესახვევი ბინტები და სხვა მასალა.

ქოხ-სამკითხველოს გამგე

# სურათი, რომელსაც წარწერა არა სჭირდება



## მივიღე ახალი საქონელი

სოფელ ზედა-შუხუთში კოოპერატივის განყოფილებამ მიიღო ახალი პარტია საქონელი: ფართლეული, საპონი, შაქარი და სხვა პირველი მოთხოვნილების საგნები. საქონელს პირველ რიგში მიიღებენ ის პირები, ვინც წარმოადგენენ ჩემი ნათესავების მოწმობას,

დანარჩენი გლეხობა ტყუილად ნუ შეიწუხებს თავს.

ზედა-შუხუთის კოოპერატივის ნოქარი გამყვრელაძე

## ახალი კურსები

სოფელ საკაჭარავოს კოლექტივში მოვაწყე გიტარაზე სიმღერის კურსები. კურსებზე პირველ რიგში მიიღებიან ლამაზი გოგონები 16-21 წლამდე. აქვეა მოწყობილი საარშიყო სექცია, სადაც მეცადინეობა სწარმოებს ყოველ დღე ჩემი პირადი ხელმძღვანელობით.

არტელის თავმჯდომარე
აპოლონ კაჭარავა.

## ულრმესი მადლობა

სოფელ შუხრანის კოოპერატივის გამგეობას, რომელმაც ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ ამავე კოოპერატივში ერთხელ შემომეფლანგა ფული, შემდეგ საბჭოთა მამულებიდან გამაგდეს, როგორც ბიუროკრატი და ბოლოს აგურკრამიტის ქარხანაში მუშაობიდანაც მომხსნეს ქალის გაუპატიურების ცდისათვის. და მიუხედავად ყველა ამისა გამგეობამ ეხლა მიმიღო ისევ კოოპერატივში ნოქრის თანამდებობაზე.

მაყარიჩი ჩემზე იყოს.

ადამა გედევანიშვილი

## ნუ იწერთ გაზეთს

სვირის გლეხობის საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ რადგან ზაფხულობით ხის ჩრდილში სვირულით დროს ტარება სჯობია, ამიტომ დრო აღარ მრჩება გაზეთების დასარიგებლად. ვინც გაზეთს გამოიწერს, ტყუილად დაკარგავს ფულს, რადგან, სულ ერთია, სვირში ღვინის გამოლევამდე მე გაზეთებს სულ არ დავარიგებ.

ფოსტის დამტარიბელი
გრიშა ხვინჩიაშვილი.

## სიზმრის ახსნა

სიზმარში აბანოს ნახვა ცუდია. ერთ ღამეს ჩხარის რაიონის საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარე ოლიფანტე რობაქიძემა ნახა აბანო, მეორე დღეს ათი-ათასი მანეთის გაფლანგვა დააბრალეს და ციხეში ამოაყოფინეს თავი. მაშასადამე, აბანო ნიშნავს ციხეს.

სიზმარში კოოპერატივში მიდიოდე და დაკეტილი დაგხვდეს ცუდია. ბაღდათის „ეპოს" თავმჯდომარე მინდიაშვილმა ნახა სწორედ ასეთი სიზმარი და მეორე დღეს მთელი კოოპერატივი ყოფილი ვაჭრებით გაივსო და თუ ეს ხალხი ამ კოოპერატივიდან არ დაფერთხეს, ის მართლა გამოიკეტება კიდეც.

სიზმარში რომ შემოსილი მღვდელი ნახო—ცემა არ აგცდება. ბაღდათელ თარგამაძეს დაესიზმრა, რომ შემოსილი მღვდელი ჯორზე იჯდა, ხოლო ვერ გაერჩია მათგან რომელი იყო ჯორი და რომელი იყო მღვდელი. თარგამაძე ჯერ კიდევ სიზმრის ბურუსში იყო გახვეული, რომ არტელში მივიდა, სადაც დაუხვდა გამგეობის წევრი გეგეჭკორი. გეგეჭკორმა ჯერ ლაზათიანად სცემა და შემდეგ სამუშაოდანაც პანჩური ამოჰკრა. მაშასადამე, მღვდლის ნახვა არა მარტო ცხადათ, სიზმარშიაც ძალიან ცუდია.

## სოფლის თავმჯდომარე

ჩხარის რაიაღმასკომის ინსტრუქტორი დავით სიმონგულოვი კვირა დღეს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს. რა ჰქნას? საქმეს ხომ ვერ უღალატებს! თავმჯდომარე სხვა, საჭირო საქმეზეა წასული.

დავითის კაბინეტის კარს ახალგაზრდა ქალი აკაკუნებს... ნეტავ ვინ იქნება! ჰა, რაო... პოო... მისი მეუღლე ყოფილა.

— შეიძლება?

— მობრძანდით ამხანაგო!

— უკაცრავად და თხოვნა მაქვს თქვენთან...

— დაბრძანდით! ბრძანეთ!

ქალმა დიდ თაბახზე დაწერილი თხოვნა გადააწოდა...

— მაინც რას თხოულობთ?

— თუ შეიძლება მასწავლებლის ადგილი...

— ძალიან კარგი... ძალიან კარგი.

დავითი ლმობიერი კაცია. თხოვნას რეზოლიუციას აწერს. „ადგილი მიეცეს დაუყოვნებლივ"...

— ულრმესი მადლობა ამხანაგო დავით...

მცირე ხანში კარს კიდევ არაკუნებენ. ვიღაც მოხუცი კაცი ჩანს. ეს მამა მისი უნდა იყოს.

— რა გნებავთ?

— მე, მე მოვაჭრე ვარ... ხმა მაქვს ჩამორთმეული...

— მერე რა გნებავთ?

— თუ შეიძლება ხმა... ხმის აღდგენა მინდა. ბატონო თავმჯდომარე, გთხოვთ...

რა ქნას დავითმა! მეტი გზა არ არის... შუამდგომლობას სწერს და სასწრაფოდ გზავნის...

კიდევ ხო არავინ არის? არავინ? კიდევ კარგი... დავითი დაიღალა ამდენი მუშაობით... სახლისკენ მიდის. მისმა რეზოლიუციებმა გასჭრა მცირე ხანში. ცოლი მასწავლებლად დანიშნეს, მამა მისს ხმა აღუდგინეს, თუმცა დღესაც იქვე აღმასკომთან ახლოს ვაჭრობს.

შეხედეთ—დავითი როგორი ბიჭია!.. თქვენც არა გყავდეთ რაიაღმასკომის ასეთი თავმჯდომარე... მააშ!

ფიშტო.



## ახალი მკურნალი

ექიმზე მოგახსენებთ. ახალქალაქის გლეხობა ძალიან გაწვალებული იყო უექიმობით. ბოლოს როგორც იყო, მოვიდა ექიმი გრიშა ზვიადაძე, რომელსაც დიდის პურ-მარილით შეხვდა სოფლის საბჭო.

იმავე ღამეს დიდი ვახშამი გადაიხადეს, სამი ჩაფი ღვინო დალიეს, და ერთი დიდი ჰინდილა თავ-ფეხიანად შეჭამეს.

ყველა დათვრა. არ ვიცი, ექიმიც დათვრა თუ არა, მხოლოდ ის კი ვიცი, რომ ექიმი ოთხმა-ხუთმა კაცმა ხელში აიყვანა (მე მგონი არა სიმთვრალის გამო, არამედ ღრმა პატივისცემის ნიშნად) და ისე წაიყვანეს ნიკო ფარესაშვილი სახლში.

მეორე დღეს ნიკო ფარესაშვილმა ათასნაირი ჭორები გაავრცელა სოფელში ექიმის შესახებ: მოიგონა ვითომ ექიმი იმდენად მთვრალი იყო, რომ მან ველარ მიაგნო თავის საწოლს, საღორეში შევიდა და ღორებთან ერთად დაიძინაო.

ნიკო ფარესაშვილს ჰყავდა ბებია. მისი ბებია სახელგანთქმული მკითხავი იყო, რომელიც ამ 40 წლის წინად გარდაიცვალა და რომელიც ექიმების დიდი წინააღმდეგი იყო.

ნიკო ფარესაშვილში სწორედ აქედან არის ჩათესილი ღვარძლი და ეს არის მიზეზი, რომ ექიმ ზვიადაძის შესახებაც ათასნაირ ჭორებს ავრცელებს.

ვანო ფარესაშვილი.

## სტუმარ-მასპინძლობა

— დაასხი, დავლიოთ. კოლექტივის წევრებს ვინ ჰკითხავს!

— იფ, იფ... რა დედალია! ერბო, ერბო პირდაპირ!

ასეთი საუბარი იყო გამართული სოფელ ორხევის ბობოლა გლეხის გიორგი ფუნთუშაშვილის სახლში გაშლილ სუფრაზე, სადაც ადგილობრივ კოლექტივის გამგეობის წევრები ბასილ მერაბაშვილი და დათიკო ილურიძე ძმობას ჰფიცავდენ თავის გულუხვ მასპინძელს.

მასპინძელმა სტუმრებთან ბოლოში მოიხადა ცოტა ხნით... სტუმრებმა ქეიფი განაგრძეს... ბოლოსამ დრო იმარჯვა და კოლექტივის წევრებს მიუხტა მამულში, მუშაობის დროს...

— გასწით, ეხლავე გაეთრიეთ აქედან! მედიდურად შეუტია გლეხებს.

კოლმეურნეებმა პასუხი არ გასცეს, მუშაობა განაგრძეს...

— გასწით, ეხლავე გაეთრიეთ აქედან! მედიმია, თქვენ აქ რა ხელი გაქვთ!

— ეს ღმერთმა ჩვენი მასპინძელი აღდეგრძელოს!..

ფუნთუშაშვილის სუფრაზე ყანწები ხელიდან ხელში გადადის, გამწარებული გლეხები გამგეობის წევრებს ამაოდ დაეძებენ სოფელში. ისინი კი ახალ-ახალ სადღეგრძელოებს სთავაზობენ ერთი მეორეს

— არ გაბედოთ და ფუნთუშაშვილს ხელი არ ახლოთ. ის მამული მისია, გესმით? როდესაც დაბრუნდნენ მათ განკარგულება გასცეს...

— როგორ თუ იმისაა...

— ჩვენ ვიბრძანებთ და გათავდა... ის მიწა მისია!..

კოლექტივის წევრები გაჩუმდნენ.. ილურიძე და მერაბიშვილი კი საღამოს ისევ ფუნთუშაშვილის ოჯახს ეწვივნენ.

გაამოთ..., თუ შეგრჩათ!

ხაფანგ.

## შეჯიბრება გაფლანგვაზე

— მოწოდებაა ყველა ჩაებათ შეჯიბრებაში.

— ჩვენ სხვას არ ჩამოვრჩებით, პირველ რიგში ვიქნებით,—ასეთი ერთსულოვანი გამოძახება ჰპოვა შეჯიბრებამ ცხუნკურის თემში. ერთი წელია, რაც დაიდვა ხელშეკრულებები, რომელთა შესრულების შემოწმება მოახდინეს გლეხკორებმა.

პირველი ჯილდო მიიღეს:

— ალმასკომმა—ფულების გაფლანგვისა და ბოროტმოქმედების მიფუჩეჩებისათვის.

— გლეხკომმა მისი 260 მანეთის უდროვოდ გარდაცვალებისათვის.

— სასადილომ, რომლის ხელმძღვანელებმა 250 მანეთის ნისია გასცეს და ნისია დახმარებად გადააქციეს.

მეორე ჯილდო ხვდათ:

— კოოპერატივის ნოქარ ჩირგაძეს გლეხებისაგან აკრეფილ საწევრო გადასახადების უმტკივნეულოდ მითვისებისათვის.

— მასწავლებელ ბარაბაძეს გლეხებში 70 მანეთის ობლიგაციების გავრცელებისა და აღებული თანხის საუკეთესოდ შეჭმისათვის.

უგზო-უკვლოდ დაიკარგა კოლმეურნეობაში გლეხობის შეტანილი 80 მანეთი, სახელმწიფო დაზღვევის და ტრაქტორის შესაძენათ შეგროვილი თანხები.

შეჯიბრება გრძელდება, თხოვნაა—ხონის რაიონის აღმასკომმა გააძლიეროს ხელმძღვანელობა ცხუნკურის გმირთა შეჯიბრებაზე.

## მოვაწყვე კაბინეთი

გორის სარეწაო კოოპერატივის ბუღალტერიაში, სადაც მსურველებს და არ მსურველებს პირიანად ვუზელ გვერდებს. ჩემი წამლობის შედეგებზე ჰკითხეთ მოქალაქე ალექსანდრე გვერდწითელს, რომელსაც ათი წუთის განმავლობაში გვარი გვერდლურჯად შეუცვალე. თითო დაზელვას მხოლოდ ორი კვარტი ღვინო სჭირდება.

პატივისცემით ბუღალტერი
ვანო ლვინიაშვილი.

## უკვალოდ დაიკარგნენ

სიმინდის თოხნის დროს სოფ. ქვემო - ხვედურეთის არტელის კომკავშირელი წევრები: ვასილ ახალკაცი, აბრამ ბერუაშვილი, გიორგი მუზიაშვილი, ნიკო არხოშაშვილი და სერგო ელბაქიძე. ნიშნები: უყვართ წოლა და ჭამა, ეზარებათ მუშაობა, თვითეულ მათგანს ორი მტკაველი ენა აქვს. მნახველებს ვთხოვთ — ნურაფერს გვაცნობებენ.

არტელის გამგეობა

## სამკურნალო წყარო

სოფელ ჰოგნარში მდინარე ჰიშერის პირას აღმოაჩინეს სამკურნალო წყარო, რომელიც გასაოცრად შველის ავადმყოფებს, განსაკუთრებით: სისხლნაკლებობას და გამხდარ ხალხს. ჰოგნარის საბჭომ ამ წყაროთი მკურნალობა სცადა ვინმე ქაფაძეზე, რომელსაც იჯარით მისცა წყარო, მოიჯარადრე გასაოცრად გასუქდა. ამ წყაროს მხოლოდ ერთი ცუდი თვისება აქვს. ეტყობა კანის ვადმყოფობას იწვევს, რადგან სამკურნალოდ მისულ გლეხობას კუდამდე სძვრება ტყავი.

სპეცკორი ჭამაშია.

## ვყიდულობ

სხვადასხვა პირისაგან დახოცილ საქონელს და შინაურ ფრინველს, რომელსაც ქალაქ თბილისში ფარულად ვყიდი იაფადა და პირიანად.

დილმელი ჩარჩი ალექსი
ლასურაშვილი.

## „თვითკრიტიკა“

ხამტრედიის კოლმეურნეობათა რაიონულ კავშირში ერთ-ერთ განყოფილების გამგის ალექსანდრე ლორთქიფანიძის, კაბინეთიდან ამ დღეს საშინელ ყვირილს და ლანძღვა-გინებას მოჰკრეს ყური. აშკარად ისმოდა, ალექსანდრე ვიღაცას უყვიროდა:

— შენ ნამდვილად კოლექტივიზაციის მტერი ხარ და პირადი სარგებლობისთვის შესძვერი კავშირში. საზოგადო ფულს ბზესავით ანიავებ, დასცინი და უხეშად ეპყრობი ღარიბ გლეხებს. ეს კიდევ არაფერი, კავშირში საქმეზე მისული მოჯამაგირე კოტე ეხებუა შენ უშვერი სიტყვებით გალანძღე და ბოლოს კაბინეთიდან პანღურით გააგდე.

რაც შეეხება სამსახურისადმი დამოკიდებულებას, საშინელ გულგრილობას იჩენ. შენ არ იყავი, რომ რაიკავშირის ცხენი იმდენი აჯირითე, რომ ბოლოს მოჰკალი? ესაც არაფერი. შენ საზოგადო ქონებასაც ითვისებ. კავშირის საჯიშე პუნქტიდან საკუთარ სახლში ნახევარ ფასად მიგაქვს ერბოკარაქი და საუკეთესო საჯიშე გოჭები. შენ ხომ ყელამდის ივსები და არც შენ მეგობარ ვაჭრებს და შავსიელებს ივიწყებ. კავშირის სამსახურში მოაწყე ვანო თადუმაძე, ა. ვეკუა, ვ. შენგელაია და სხვა ბოროტმოქმედები და მფლანგველები.

რის ღირსი ხარ შენ, რის! მითხარი, რას ჩაგვარდნია ენა! შე უსირცხვილო ბიუროკრატო! მითხარი, შენ რა ადგილი გაქვს საბჭოთა დაწესებულებაში!

ვის ლანძღავს ნეტავ ალექსანდრე... რაშია საქმე. ვეღარ მოითმინეს და შეაღეს მისი კაბინეთის კარი, ოთახში მარტო ლორთქიფანიძე აღმოჩნდა, სხვა არავინ.

თურმე „თვითკრიტიკის“ წესით —თავის თავს ელაპარაკებოდა!

დიახ.

## უცხო
### სიტყვათა ახსნა
### (ნიგოითისათვის)

**არშიყობა** — ნიგოითელ ინტელიგენციაში მეტად გავრცელებული სურდო.

**სკოლა** — საპაემანო და სალაყბო დაწესებულება.

**სამიკიტნო** — ოთახის ხელა ხაფანგი.

**ბიბლიოთეკა** — უტილის საწყობი მაღაზია.

**სახადილო** — კერძო მიკიტნების თავშესაფარი.

## უებარი წამალი



— ექიმო მთელი ქვეყნის ექიმები მოვიარე. ვერ იქნა, ვერ მომარჩინეს. ქონმა ლამის დამახრჩოს.

— წამალი? ადვილია. წადი სოფელში და ერთ კვირას კოლექტივის მუშაობას უცქირე!

## ყვარელში
### ფოსტის გამგეს

ეხლა რომ აქ იყო, გადაგეხვეოდი და დაგკოცნიდი.

რატომაო — იკითხავ.

იმიტომ, რომ გაზეთ „კოლექტივიზაცია“-ს არ ურიგებ ხელისმომწერ გლეხებს. ალბად შეგნებული გაქვს და იცი, რომ ეს გაზეთი სოფელში გასავრცელებელი არ არის. ალბად იცი, რომ ამ გაზეთში ერთავად სხვადასხვა შეღავათებს ბეჭდავენ კოლექტივებისათვის, ალბად იცი, რომ ეს გაზეთი ძირს უთხრის კულაკებს, მღვდლებს, ვაჭრებს და შენისთანა „პატიოსან“ ჩინოვნიკებს.

გლეხებს თვალითაც არ დაანახო ეს გაზეთი, დაწვი, გადაყარე, მოსპე.

ასე, შენ მანდ განაგრძე შენი მოღვაწეობა, მე აქ შევევედრები უფალსა და ასე გაერთიანებული ფრონტით შევუტევთ ღვთისაგან წყეულ საბჭოთა ხელისუფლებას.

წმინდა ვასილის ეკლესიის მთავარ-დიაკვანი **იოაკიმე ოქროპირი.**

## დეპეშა
### ახალ ხორგიდან

— ჩვენს კოლექტივს ხელმძღვანელად
უდგია—მისა ქვაძია;
ღარიბებს თავს არ უკადრებს,
უკადრისი და ქამია!
ფეხებზე ჰკიდია ყველა —
ისე დადის, ვით ყოჩია;
სჯობდა „შეგებულება“ მივცეთ,
ვინც ასეთი ყოყოჩია!..

მგ.

## ტელეფონით
### ქვიტირში

— ტელეფონ... ტელეფონ!.. ბარიშნა, შენ გენაცვალე ერთი წუთით ქვედა-ქვიტირს შემიერთე. ქვედა ქვიტირია? თუ არ გეწყინებათ ტელეფონთან დამიძახეთ არტელის თავმჯდომარე სერაპიონ ყუბანეიშვილს!.. რაო? მანდ არ არის? აბა სუბუქი კავალერიის წევრი იქნება ვინმე, საჩქარო საქმე მაქვს.

თქვენა ბრძანდებით? ძალიან კარგი. არტელის შესახებ გუშინ წერილი მივიღეთ, მაგრამ რიგიანად ვერ გავარჩიეთ. რაშია საქმე. იქნებ—თქვენ რამე ამის შესახებ...

რაო? ვაჭრები? სად? ვაჭრებმა და შავსიელებმა თავი მოიყარეს? სად კაცო? არ ისმის! არტელში? მერე თავმჯდომარე, ან გამგეობის სხვა წევრები სად არიან, რატომ წმენდას არ ჩაატარებენ! რაო? თავმჯდომარე თვითონ კულაკია? ვინ კაცო, სერაფიონა კულაკი და მევახშე? როდის ასესხებდა ფულს. რას ამბობ! ამ საქმეზე გამსახლიც კი ჰქონდა მისჯილი? ეროშა!..

რაო? ფართალი დაარიგეს? ათ-ათი მანეთის არტელის წევრებს რომ მისცეს? დანარჩენი? როგორ თუ თავმჯდომარემ გაიომახქნა! რატომ არტელის წევრები ხმას არ იღებენ! სერაფიონა იმუქრება? რისი გეშინიათ კაცო, ხუმრობს თორემ ფართლის გულისთვის კაცს ტყვიას როგორ დაახლის..

კარგი თუ ძმა ხარ. მაშ კოლექტივების რაიკავშირის გამგეობას გამომიძახეთ...

ტელეფონ, ტელეფონ! რაიკავშირის გამგეობაა? არ გესმის? პასუხს არ მცემენ... გაწყდენ თუ რა ეშმაკი დაემართათ..

ტელეფონ, ტელეფონ, კავშირი... კავშირი, გამგეობა... ფუშ.., არაფერი ისმის.

ტრახ.

## ქვედა საზანოს
### სასადილო

— ყველაფერი კარგი, მაგრამ ამ კოლექტივის სასადილოში, რომ ღამეა ქეიფი და დღე შიგ არაფერია — რაშია საქმე?

— ეს იმის ბრალია, რომ საბჭოთა აპარატის წმენდის დროს საბჭოს თავმჯდომარეს დააბრალეს დღისით ლოთობა და ქეიფი. ეხლა მან ღამე ქეიფობა იწყო.

# ჭანტურია-მგელტურია

აბაშის რაიონში
სოფელია ნაისაკო,
აქ რომ არტელი არსებობს
მასზე მსურს ვილაპარაკო.

---

არტელს აერთებს მრავალი
გლეხი—კაცი და ქალია,
რომლებთა შრომა, მიღწევა,
არვისთვის დასამალია.
ბევრი აქვთ სახნავ-სათესი
და მოსარწყავი წყალით.
მტერი შეჰყურებს სიმდიდრეს
ბრაზით ევსება თვალით.

---

კოლექტივი კარგი არის,
და ნიშანიც კარგი აზის,
სასახელო სახელი აქვს
მას ფილიპე მახარაძის.

---

თავდადებით მუშაობენ
დროულად და აღრიანათ,
დროზე ხნავენ, სთესენ, მკიან,
მიჰყვებიან გეგმიანათ.
მათ შემყურე კულაკობას
ბრაზით თვალი დაევსება,
ველარ სძლებენ რომ გლეხობას
წელს ბეღლები გაევსება.
მტერი რაა, რომ მტერთაგან
მოველოდეთ კარგსა რამეს!
თავმჯდომარეც კი ხელს უწყობს
ჯალათებს და სულის მამებს!
აკაკია ჭანტურია
ენა ბილწი, კაცი ფლიდი..
კოლექტივის წევრთა ზურგზე
გაიფინა გზა და ხიდი...
გლეხებს სჩაგრავს ავიწროვებს,
ილანძღება, იბერება,
საბჭოთა ხელისუფლების
დამცირებით იკვებება.
ჭანტურია წარსულშიც კი
ცნობილია შავი საქმით!
მან მრავალჯერ იახელა,
სხვისი ოფლის ხარბად ჭამით.
მოსცხეთ მაგრა, ამ მგელ ტურას,
რა დროს თავის კანტურია
ხედავთ ლამის კოლექტივი
გადაყლაპოს ჭანტურიამ!

მეგრელი.

# დეპეშა

**მარტვილი.**

მე გულით მსურს კოლექტივებს
მოსავალი ბლომად ექნეს,
ყველა სურმავას წისქვილზე
მივიდეს და ჩამოიფქვეს.
„პატარძალი ქმრის ლოდინში
ზღაპარს ამბობდაო,
ეშმაკს ღვინო არ ჰქონდა და
გუდას ალბობდაო“!
ცავა მისი აგიტპროპით
გრძელ გეგმებით სტკბება.
ნამონასტრევ სახლს მიხედეთ
თორემ დაგვილპება!
კმარა, კლუბი დაამთავრეთ,
გაახილეთ თვალი,
რომ გვერდებს არ ულეწავდეს
ნაწვიმარი წყალი.

ჩახმახი.

# ბულს დააკლდა

ოზურგეთის მაზრის სოფელ ლიხაურში მცენარეულობას სწამლობენ გამოუცდელი ახალგაზრდები. შეწამლული მცენარეებით მოიწამლა რამდენიმე შინაური ცხოველი.

კორესპონდენციიდან.



— ვირი—ეს ოჯახ აშენებულებო მე რაღას მეუბნებიან ჭკუა არა გაქვსო!

# ჩვენი ფოსტა

**ერკეთელს.** სასოფლო საბჭოს მდივანი გრიშა თოდრია უხეშად თუ ექცევა გლეხებს, ეს ალბათ მიტომ, რომ მას ფოსტას განყოფილების გამგედ ყოფნის დროს გლეხებთან პურ-მარილისთვის შემოექამა 140 მანეთი სახაზინო ფული. ამაზე თქვენს მდივანს ნუ დაემდურებით. გლეხებთან იჩხუბებს, პურ-მარილს არ მიჰყვება და სასოფლო ფული ადვილათ აღარ გაგეფლანგებათ.

**ჯონჯოლს.** ძალიან შეწუხებულხარ, რომ საბჭოს მდივანი არჩილ ბეციაშვილი თვითნებობს, თავმჯდომარეს არაფერს ჰკითხავს, დასცინის, და ჰყვირის, საჯაროდ ლანძღავს და აგინებს.. ჩვენის აზრით კი თავმჯდომარეს, რომელიც მდივანს თავს ასე აბუჩად აგდებინებს, მაგარიც რომ მოსცხონ—არა უშავს რა..

**სახხერელს.** იწერებით, რომ ფოსტა-ტელეგრაფის განყ. გამგე ვეშაპიძე გლეხობას ლანძღავს, მუდმივ ლოთობს, თამაშობს ქაღალდს და გარდა ამისა გაფლანგა 300 მანეთი საზოგადო ფული.. მერე სად იყავით როცა მას გამგედ ნიშნავდენ? რატომ არ დააცქერდით მის გვარს **ვეშაპი**-ძე. ვეშაპი კი იმისაა, რომ რაც მოხვდება შეყლაპოს და შესანსლოს.. რაც შეეხება იმას, რომ მსუბუქმა კავალერიამ მას ღლემდე ვერაფერი დააკლო, ამის შესახებ სამხედრო მეცნიერება გარკვევით ამბობს: როდესაც კავალერია მტერს ვერაფერს აკლებს—მაშინ მას არტილერიითაც უნდა მისცხო... მიცხეთ, რაღას აყოვნებთ?

# სენაკი

**ი. ბეჟვიას.**

პროცენტებში ძლიერი ხარ
რაღა გიჭირს შენ ძამია!.,
დაეწევა და გაუსწრებს
კოსტავა და ბარამია.
ჩარქმზიაც ამაყად სვეჭს
მიდგომა აქვს მეტად კარგი,
წლების ბოლოს მიღწევებში
არ ექნება დანაკარგი.
მოსავლისთვის მტკიცედ იბრძვით,
გეგმა გაქვთ და განაკვეთი,
საყდრებს ზარები მოხსენით,
განარისხეთ „მამა ღმერთი“...
თქვენ იმედით შემოგყურებთ
გადაუჭრელს, ჭკუით ფხიანს,
მხოლოდ ლიქსკოლების დარგში
ნუ აძინებთ პირტახიას.

**ლანჩხუთი**

ყველგან შრომა, ყველგან გაოცება
და ფიცხელი ფაცურია,
ლანჩხუთში კი ვერვინ სჯობნის
დღეს გიორგი ფაცურიას.
აქ არიან დაცვდილები
გრიგოლი და ბევრიც სხვაი,
წითელ დროშის მოღალატეს
რომ ასვრიეთ კუდით ქვაი..
კოლექტივი ძლიერი აქვთ
მოსავალიც ბევრი წერის,
რომ საქმეში წილოსანმა
ტიტეს უნდა დაუჯეროს.
თან მიხედოს გვიმბალაურს
სოლომონის ესმას ხმაი:
ვისსა სვამენ შესახდომარს
ივან, ლადო, ბართლომაი!

**ჩიბათი**

თუ დამაკლდა ჩაი, ყავა
ჩიბათის წავალ მუქთად დავლევ,
მთა და ბარი მთლად გადახნა
კოლექტივის ძველმა სავლემ.
არ დასტოვა დაუთესი
მან ნაჭერი არსად მიწის.
დიახ! წითელ არმიელმა
სოფლად შრომაც კარგად იცის.
კოლექტივებს მეთაურობს
კულაკობა შორს გალალა
მოსავალს ბლომად მივიღებთ
ალექსამ თუ დააცალა.

კ—ი.

# დეპეშა

**ოზურგეთიდან:**

— საუწყებოში მსახურობს,
ვინმე ილია დარჩია,
ჩვენს მილიციის რიგებში.
ნეტა ეს ვინ შეარჩია?!

---

კოლექტივების წინააღმდეგ, —
იწყო ბრძოლა და „წყლის ნაყვა“..
მაგრამ იმის ბოროტ სისინს
არც ერთი გლეხი არ აყვა!

---

„ლაი-ლაი“ ჩვენ არ გვინდა,
რად მივაქციოთ ან ყური?
ასეთს ლოთსა და მოკინკლავეს
ამოვუჭიროთ პანდური!..

ჩ.

# საუბარი საჩხერის კოოპერატივთან



— იცი? აი ამ ცხოველს აქლემი ჰქვიან! აგერ კუზები რომ აქვს—იმაში ორი თვის საგზალს ინახავს.
— შენ ეგ გიკვირს? ჩვენი კოოპერატივის „ექსპედიტორმა“ ხაროშვილმა კოოპერატივიდან ფარულად წა-ღებული საქონლით ორი წლის საგზალი შეინახა!

ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук